



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 349

ქალაქი ქუთაისი      25      იანვარი      2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლით, პირობებით/, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების, მოქალაქე ნოდარ ასამბიანის (24.11.2016 წელი, N28011/01) განცხადების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლით, პირობებით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, დუმბაძის ქუჩა N59-61 (ნაკვეთი N2)-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I გამოყოფილი ნაწილის (ფართი N1) ნაწილი 28.07 კვ.მ. /საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.03.474/ 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუნდის“ 23.12.2016 წლის N2014 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 1745.0 (ათასშვიდასორმოდახუთი) ლარს.

**მუხლი 3.** წლიური საიჯარო ქირა ყოველი 5 /ხუთი/ კალენდარული წლის შემდეგ, უნდა გაიზარდოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის ინდექსის რთული წლიური ზრდის მაჩვენებლის 5 /ხუთი/ წლის ჯამური ოდენობის შესაბამისად.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი